ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 26.11.2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის
მოვალეობის შემსრულებლის

ბრძანება N490-ს

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის რიგგარეშე მობილობის ვაკანსიების გამოცხადების, აგრეთვე ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-5 მუხლის მე-2 და მე-2' პუნქტების და მე-5' მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - სისტემა) უფროსის 2021 წლის 24 ნოემბრის N1.1/105 ბრძანების „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2021 წლის 30 აგვისტოს N19-კ ბრძანების „უნივერსიტეტის რექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად თამაზ ვაჩაძის განსაზღვრის შესახებ"; უნივერსიტეტის `სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' 21-ე მუხლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანის პაპუნა გურულის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე მობილობის ვაკანსიები სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის - *20 ადგილი* უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლის წლიური საფასური - 2990 ლარი.

2. განისაზღვროს ვადები რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის დანართი N1-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს აღიარების კომისია სანართი M3-ის შესაბამისად.

5. უნივერსიტეტის მიერ რიგგარეშე მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილების აგრეთვე სწავლის საფასურის შესახებ ინფორმაციის სისტემისათვის წარდგენა მოხდეს არაუგვიანეს 2021 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

6. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

7. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს; ენების ცენტრს.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამაზ ვაჩაძე**

<u>დანართი №1</u>

რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2021 წლის *1- 8 დეკემბერი;*

ბ) კრედიტების აღიარების კომისიის მუშაობა, დასკვნების მომზადება და მათი მობილობის მსურველთათვის გაცნობა, თანხმობის/უარის წერილების მომზადება - 2021 წლის *2 - 9 დეკემბერი*

გ) სკოლების მიერ ჩასარიცხ პირთა სიების (მოხსენებითი ბარათის სახით), აგრეთვე რიგგარეშე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის (ქაღალდური და ელექტრონული სახით) წარდგენა *-10 დეკემბერი;*

დ) რიგგარეშე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და სისტემისთვის წარდგენა - 2021 წლის *13 დეკემბერი.*

დანართი №2

რიგგარეშე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება და ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით);

ბ) ბაკალავრის დიპლომისა და დანართის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

ე) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ზ) ორი ფოტოსურათი (3X4) და სურათი CD დისკზე;

თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების (არსებობის შემთხვევაში) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

<u>დანართი N3</u>

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის აღიარების კომისია:

1. გურული პაპუნა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი, მოწვეული სპეციალისტი, (კომისიის თავმჯდომარე);
2. გოგიშვილი პააატა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი);
3. ბოსტოღანაშვილი დავით, სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
4. ლონდარიძე მარინა, სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, (კომისიის მდივანი).